

# ბრძოლა

ნოემბერი, 1936 წ.

№ 21

ფასი 50 კაპ.

კომუნისტური  
გეორგიული

## ბრძოლა

საბჭოთა ავ-8 საბანკო  
ყ რ ი ლ მ ბ ა ს  
სტალინური  
კონსტიტუციას

სსრ კავშირის მოქალაქეთა თანახმად  
უფლებიანობა დამოუკიდებელი  
ა რ მ ვ ე ბ ი ს ა ჭ კ ა ს ი ს ა

სსრ კავშირის თავდაუხებლობის უფლებას  
წინააღმდეგობა მოქალაქეებს, რომლებსაც  
დევნიან მუშაკთა ინტერესების  
დ ა მ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს



# ნიანბის მოხსენება

გამოვდივარ რა ამ კრებაზე ჩემი რაზმის და მკითხველების სახელით, საჭიროდ ვთვლი გავუზიარო ამ დარბაზში მსხლომ რჩეულებს და ყველა მშრომელს ჩემი მასალები და შთაბეჭდილებანი ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. (ტაში და ოვაციები). კონსტიტუცია, ანუ ძირითადი კანონი ჩვენში, ისე როგორც სხვა ქვეყნებშიც წარსულშიც ყოფილა. კერძოდ საარჩევნო სისტემა, ძველ დროშიც ყოფილა საქართველოში. მაგალითად, ირჩევდნენ ეკლესიის უმაღლეს ხელისუფლების წარმომადგენლები კათალიკოსებს, საქართველოს ეკლესიის მეცვეურება და ირჩევდნენ სხვადასხვა კერძებს და სხვადასხვა ჯიშის ღვინოებს, თათქარიძეები და კნენია დარეჯანები. ირჩევდნენ თავადებისაგან გაყიდულ და საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს ფოთის, ტრაპიზონის და სტამბოლის ნავთსადგურებში ცოცხალ ადამიანებით მოვაჭრე სოფდარები. არჩევნები **საქმ-ველითაო**. იყო გავრცელებული სქესისა. მაგალითად ირჩევდნენ ყმის ვაყებს მებატონეები მიწინაობაში, მწვერებაში და ქორ-მეძებრებში გასაცვლელად, ირჩევდნენ ყმის ლამაზ ქალი-

ათასჯერ მეტი მასალები მივაწოდო ჩემი უფსკერო გოდრის არქივიდან. (ტაში) ეროვნების ჩაგვრის გამოვლინებას წარსულში არავითარი ადგილი არ ჰქონია, ყველა ენას ჰქონდა თავისი ეპიტეტი: ქართულ ენას ძაღლის ენას უძახოდნენ, სომხურს—სა-ჩრფარეშოს ენას და სხ. „მომხიბლავ“ ეპი-

უფლება ჰქონდა მასპინძლის, ე. ი. მომავალ მარშლის, სადღეგრძელო დიდი ყანწით დაე-ლია. საბატონო ყმას თანასწორი უფლება ჰქონდა აერჩია ან ბატონის პირუტყვივით მორჩილება, ან როზგების ქვეშ სიკვდილი. არჩევნები წარსულში **პირდაპირი** ყოფი-ლა; მაგალითად, პირდაპირ ირჩევდნენ მე-ფეები—მინისტრებს, მინისტრები—გუბერნა-ტორებს, გუბერნატორები—მაზრის უფრო-სებს, მაზრის უფროსები—ბოქაულებს და ბოქაულები მამასახლისებს.



სხვათა შორის თავად-აზნაურთა მარშლე-ბის არჩევნებს დიდი საზეიმო ხასიათი ეძლე-ოდა და ხშირად თავდებოდა გაშავებულ კან-დიდატის მიერ საარჩევნო უფლების მიღეწ-მოღეწით. (იხ. აკაკის „პირუტყვების არჩე-ვანი“) პირდაპირი არჩევნების სისტემის იმ სახით, როგორც ზევით დავასახელე, დღესაც უხვად სარგებლობენ კაპიტალისტური ქვეყ-ნების სახელმწიფოები—და განსაკუთრებით ფაშისტები. კონსტიტუცია, რომელსაც ჩვენ ახლა ვღებულობთ, სხვანაირად განმარტავს პირდაპირი არჩევნების შინაარსს და ამიტომ მე მას სავსებით ვიზიარებ.



ტეტების საბასუხოდ ქართველი კნენებიც დამწვარი იყვნენ რუსული და სხვა ენების სიყვარულით. ამით აიხსნება, რომ ისინი მთელ მე-19 საუკუნის მანძილზე და მეფის რეჟიმის დამხობამდე „ქანჭური მინდას“ ნა-ცვლად „ჩანჩური მინდას“ გაიძახოდნენ. ერ-თა შორის ძმური სოლიდარობა და სიყვა-რული სუფევდა. მაგალითად, ერთიმეორის სიყვარულით ყანყარტოებს სჭრიდნენ ერთმა-ნეთს მუსავატელები და დაშნაკელები. დაშ-ნაკთა ბანდები ქართველების სიყვარულით ტფილისის ასაღებად მოიწვედნენ ვინმე პამ-პულა პოლკოვნიკის დროს მეთაურობით. ქართველი მენშევიკები ისე იყვნენ გატაცე-ბული სომხების სიყვარულით, რომ მათ ათა-სობით აგზავნიდნენ ტფილისიდან მუქტი ტრანსპორტით „სააგარაკო ადგილებზე“. იგივე მენშევიკები ჯავაზე და ვაგრის უღელ-ტენილზე მიდიოდნენ თოფზარბაზნებით ოსე-



ჩვენი საარჩევნო სისტემის მეოთხე ფორ-მულა, რომელიც არჩევნების **ფარულ** ხასია-თს ითვალისწინებს, მოპოვებულია საბჭოთა კავშირის შიგნით სოციალისტურ წყობილე-ბის მტრებზე საბოლოო გამარჯვებით. ეს ფორმულა, რომელიც აგრეთვე თავისებუ-რად იყო გამოყენებული კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ, იწვევს არე-დარევას, პანი-კას და მტრულ გამოხმაურებას ჩვენს „ტკბილ მეზობლებში“. როზენბერგმა ჩემი სააგენ-ტოს რწმუნებულს ბერლინში საპროტესტო ნოტა გაუგზავნა: „როგორ შეიძლება!—ჩვენ აშკარა ბრძოლას ვაწარმოებთ კომუნისტუ-რი საფრთხის წინააღმდეგ, წარსულში ფა-რულად მზადების ნაცვლად, ახლა აშკარად, ყველას დასანახად და გასაგონად ვემზადე-ბით ახალ მსოფლიო ომისათვის, და საბჭო-თა კავშირი კი ფარულ არჩევნების სისტემას უბრუნდებოდა“.



შვილებს ქალბატონის სამოახლოდ, ან ბა-ტონთან წასაყვანად „პირველი ღამის კანო-ნი“ გათვალისწინებულ ჩვეულების შესრუ-ლების მიზნით, ირჩევდნენ **ბანურჩავლად წოდებულსა**. მაგალითად, არჩევნებში გლახე-ბიც და სხვა მშრომელებიც ღებულობდნენ მონაწილეობას: ისინიც ირჩევდნენ ხელსაყ-რელ დროს შურის საძიებლად ან შესაფერ მეთოდებს ფეოდალურ-ბურჟუაზიული წყო-ბილების დასამხობად. არჩევნები ხდებოდა აგრეთვე **ბანურჩავ-ლად ეროვნების**: ირჩევდნენ, მაგალითად, ძველი მოღალატე ქართველი თავადები ახალ ორიენტაციას ეროვნების განურჩევლად, ხან არაბთა ემირების, ხან მონღოლ ხანების, ხან თურქ ფაშების, ხან ირანელ სატრაპების ხან რუს ხელმწიფეების და სხვა ეროვნებათა სა-სარგებლოდ. მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას გაძლიერებული მტრების ურდოები ესეოდა. ირჩევდნენ ძველი ქართველი კნენებიც საქ-მროებს განურჩევლად ეროვნებისა: მემამუ-ლე გერმანელ პრინციებს, ჩინ-ორდენოსან რუს მოხელეებს, ფულიან სომეხ მევახშეებს და სხვ. როგორც ხედავთ, საყოველთაო არ-ჩევნების პრინციპი წარსულშიც იყო დაცუ-ლი და ესაა ის არ სჯერა, შეიძლება მას

ბის და აფხაზების სიყვარულით. მე მოგახსენეთ, რომ არჩევნებს წარსულში საყოველთაო ხასიათი ჰქონდა და კიდევ მო-ვიყვანე საამისო მაგალითები. ძველად არჩევნების დროს **თანასწორო-ბის** პრინციპიც ყოფილა დაცული. მაგალი-თად, როდესაც მეფის რეჟიმის დროს გასულ საუკუნეში თავად-აზნაურები თავიანთ წინა-მძღოლს ირჩევდნენ, ასარჩევ კანდიდატის მიერ გამართულ ვახშამზე გაფხეკილ იმერელ აზნაურს, გაფხეკილი თავადის **თანასწორი**

ჩემმა შტაბმა გადასწყვიტა, რომ როზენ-ბერგის საჩივარი განსახილველად გადაეცეს რესპუბლიკის **სააფთაქო სამმართველო** და თვითონ კი გაათქვამებული ენერგიით იბრძო-ლოს ყველა ფორმებზე კონსტიტუციის ყველა იმ მუხლების—დასაცვად, რომელსაც ჩვენ ახლა ვღებულობთ. (ტაში და ოვაციები) ჩასწერა **მელუშამ**.

„საქავთოხრესი“  
სადარო

გერმანელ ფაშისტებს

(თეთრი ლაქი)

საქიოდან გიგზავნით წერილს.  
აქ ბევრი მოდის თქვენ სამეფოდან.  
კვითხე მიზეზი ხშირი სიკვდილის,  
თურმე მიზეზი არის სიმშლიო.

მე მომაგონდა ჩემი ამბავი,  
რომელიც მინდა ვიამბოთ თქვენა.

მე მყავდა ვირი, თქვენსავით გმირი,  
(ის არიული იყო რასისა).  
ყოველდღე მთხოვდა თივას და ქატოს.  
გამომელია მისი საკვები,  
თანაც მომბეზრდა მე მისი რჩენა  
და ხერხს მივმართე აი ამნაირს:  
დავაბი იგი მყუდრო ალაგას  
(თქვენ რომ ეძახით ახლა კონცლაგერს).  
და შევუწყვიტე საჭმელ-სასმელი.  
მინდოდა ამით, რომ სამუდამოდ  
გადაჩვევოდა იგი ჭამასა.

მთელი ერთ თვის განმავლობაში  
არ უჭამია მას არაფერი.

გახდა საწყალი, სულ ძვლებად იქცა,  
გადაეჩვია საჭმელს და სასმელს.  
რომ მიეუტანდი, აღარ უნდოდა,  
პირს არ ახლებდა ნორჩ ბალახსაც კი.  
ეს მიხაროდა...

მაგრამ ერთ დღით,  
როცა მივედი მის სანახავად...  
ოი, რა ვნახე:

ის მომკვდარიყო!..  
მეწყინა მეტად. ვუსაყვედურე:  
ახლა რად მოკვდი, შენ ჩემო ვირო,  
რადესაც საჭმელს გადაეჩვიე?

საწყენიც იყო. როცა ვაჭმევედი  
მას ან ცოცხლობდა და არ მომკვდარა,  
და როცა საჭმელს გადაეჩვია,  
როცა არ იყო მისთვის საჭირო  
საჭმელ-სასმელი, კვება და რჩენა,  
— აი ასეთ დროს მან მილალატა,  
გარდამეცვალა, მომიკვდა იგი.

ჰო და თქვენ აღბათ მე მბაძავთ ახლა,  
ითვისებთ თქვენ ჩემს გამოგონებას.  
ეს მე მეკუთვნის და არა თქვენა,  
ეს ცდა პირველად მე მოვახდინე.

ჰერა.



— ზოილტ მოწყალება; მომეცით ბილეთი უპროტექციოთ საფავანოს სადგურამდე.

„ღამსახურეული“

საბერძნეთის მეფემ დასაჩუქრა პიტლე-  
რის პროპაგანდის მინისტრი გებელსი  
„მსსნელის“ ორდენით.

მეფეს გული აუყურდა,  
როცა კრძალვით მოახსენეს:  
თქვენი ნახვა მოუნდაო  
გერმანიის მინისტრს გებელს.  
წამხვე მეფე ფეხზე აღგა,  
თავიანი სცა მინისტრს დაბლა,  
შიშისაგან ხმა ჩაუწყდა,  
დაეცაო თითქოს დამბლა.

გებელსს გულში ჩაეცინა,  
მეფეს უთხრა სიტყვა ტკბილი,  
ხელში ჩაწვდა, გაუშინჯა  
არ ჰქონდესო შავი კბილი.  
მაგრამ შემდეგ, როს მინისტრმა  
მას პიტლერის უთხრა აზრი, ---  
ბოლშევიზმის წინააღმდეგ  
ჩვენ გვქონდესო ერთი ხაზი, ---  
მეფე მაშინ კვლავ წამოაღგა,  
თქვა: მენდევით როგორც თავსო,  
თქვენ ამ „მსსნელის ორდენს“ გიძღვნიო  
პიტლერსა კი — მაღლობასო.



გაზაფხული იხე გავა,  
ვერ იხარებს გული ჩვენი,—  
მოგვადგება, გვირტყამს თავში,  
აგვაოხრებს გზათაშენი.



შემოდგომას, როცა ვფიქრობთ,  
დასვენების ჯერი ღდება.  
„ტრამვაი“ და „ინჟინმშენი“  
წერაქვებით მოგვადგება.



ზაფხულში კი, როცა უწყლოდ  
ვინ მოიცდის, — ქვაც კი სკდება,  
ქვლავ გვანგრევენ, — მუშაობა  
„წყალკანალტრესტს“ მოუნდება.



გვიამორღება... ჩვენ გვკონია  
გავიცანეთ უკვე ლელო,  
მაგრამ ამ დროს თავს გვესხმება  
ტელეფონის სამართავი.



მაცხოვრის მოციქულებმა საქმე ქნეს გასაკვირები: ქოისტეს ტაძარში შერევეს აჯანყებულთა ვირები.

რა ეუცხოვათ პირუტყვეს ახალი მყუდრო საფარი, მწყობრი ხმით ყროყინს, შეუღდვენ, გადააყრუს მთა-ბარი.


ისმის ტაძარში, ვირების ხმა შეწყობილი „გალობა“, რომ, არ მოაკლდეთ სანაცვლოდ ფაშისტებს უფლის წყალობა.

# მონინაალმეგენი

აღმასხან და ყარამან ერთმანეთს შეხედნენ.  
 — რამდენი წლისა ხარ, აღმასხან? — ჰკითხა ყარამანმა.  
 — ცხრამეტი წლისა.  
 — კი არ გეხუმრები, სერიოზულად გეკითხები.  
 — მეც სერიოზულად გეუბნები.  
 — კაცი მოხუცი, ცალი ფეხი სამარეში გიდგას და 19 წლისა ხარ?  
 — ოქტომბრის რევოლუციამდე ცხოვრებას, მე ცხოვრებას არ ვეძახი, ის ძალღური ცხოვრება იყო. 19 წელიწადია, რაც აღამიანურად ვცხოვრობ და ამიტომაც ცხრამეტი წლისა ვარ. წინად ორთავე ფეხი მედგა სამარეში, თორემ ახლა თითონ მე ვუთხრი სამარეს ჩვენს მტრებს... შენ კი რამდენი წლისა ხარ? — ჰკითხა აღმასხანმა.  
 — მე ვარ ოცდაათი წლის.  
 — ოცი წლის წინად იყავ ოცდაათი წლის და ახლაც ოცდაათი წლისა ხარ?

— ოქტომბრის რევოლუციის შემდეგი წლების ცხოვრებას მე ცხოვრებად არ ვთვლი და ამიტომაც ვარ ოცდაათი წლის.  
 — შენ დარდი გაბერებს, მე კი სიხარული მაახალგაზრდავებს.  
 — რისი გინარია.  
 — ახალი ცხოვრების... ახალი კონსტიტუციის.  
 — იცი თუ არა რომ შენისთანა მოხუცებულლებზე, რომლებსაც შრომა არ შეუძლიათ, რას ამბობს კონსტიტუცია?  
 — მე კი ვიცი, მაგრამ შენ თუ იცი.  
 — ვიცი და აი რას ამბობს: „**მუხლი 12.** შრომა სსრ კავშირში წარმოადგენს უნარიანი თვითეული მოქალაქის მოვალეობას პრინციპის მიხედვით: „ვინც არ მუშაობს, ის არა სჭამს“. სსრ კავშირში ხორციელდება სოციალიზმის პრინციპი: „თვითეულისაგან მისი

უნარის მიხედვით, თვითეულს—მისი შრომის მიხედვით“.  
 — რა გინდა მაგით რომ თქვა? — შეეკითხა აღმასხან ყარამანს.  
 — ის მინდა, რომ შენისთანა მოხუცი, რომელსაც მუშაობა არ შეუძლია, სიმშლით მოკვდებო. ხომ გაიგე, რას ამბობენ: — ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამსო. თვითეულს მისი შრომის მიხედვით... შენ რა უნდა იმუშაო იმდენი, რომ თავი შეინახო?  
 — შე უბედურო, ყველაფერი უკუღმართად უნდა გაიგო? შრომა არის შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა. ის პიროვნება, რომელსაც აქვს შრომის უნარი და არ შრომობს, როგორც მაგალითად შენ, აი სწორედ მას არ ექნება არაფერი სიკეთე. აბა როგორ გინდა? სხვამ იმუშაოს და შენ სჭამო? ის დრო წავიდა, როცა ასე იყო.  
 — აბა შენ როგორ გესმის, როცა მოხუცობ (ბაბრძილუბა — მე-6 გემრღვა)



— დავებრდი შვილებო, თვალი დამაკლდა, მაგრამ არაფერია, გემებს გავყვებიუკან და ასე მთელ ქვეყნებს შემოვივლი.  
— სცდები ბაბუა, ჩვენს გემებს არ ენდო, თორემ ესპანეთის გარდა ვერც ერთ ქვეყანას ვერ ნახავ.

## ნიანგის ლექსიკონი

„ჩემი ბრძოლა“ („მაინ კამპფ“) — სახარება, შედგენილი მოციქულთა სწორის ადოლფ შიტლერისაგან, რომელიც გერმანულ ხალხს სამოთხეს პირდება სხვა ქვეყნების მიწა-წყალზე.

### „მოწინააღმდეგენი“, ბაბძ.

ცებულობის გამო კაცს შრომის უნარი ეკარგება, რა არის მისი საარსებო წყარო?

— როგორ მესმის და ასე: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით, უფასო სამედიცინო დახმარებით, მშრომელთა სარგებლობაში კურორტთა ფართო ქსელის გადაცემით.

— ისევე რა გითხრა შენ...

— რავა, კურორტებზე გავგზნავნიან?

— მაშ რა გგონია! მაგრამ გულს ნუ გაიტყვ, თუ კიდევ ძველი გზით განაგრძე სვლა, დარდისაგან შენც მალე მოხვდები კურორტზე, მაგრამ სხვა კურორტზე — საიქიოს კურორტზე, დასასვენებლად მალე მიიღებ საგზაურს! — უთხრა ალმასხანმა და თავისი გზა დილით განაგრძო:

ეს სტალინური კონსტიტუცია, მოგვცა ოქტომბრის რევოლუციამ. მკერდში ხალისი გულად გვკიდია და სიხარული ჩვენი დიდია.

ვინც უარს აცხადებს ასეთ სამოთხეზე, ან რომლებსაც არ სჯერათ ადოლფის დაპირება, მათ მომავალ სამოთხის ნაცვლად კონცლაგერებს ურიგებს გერმანეთის მიწა-წყალზე.

წყნარი ოკეანე — უკვე ლელავს საზღვაო შეიარაღების სწრაფი ზრდის გამო.

მაიმუნი — ადამიანის მომგინო ცხოველი, რომელიც დარვინის მიერ დამტკიცებული თეორიით ადამიანთა მოდემის წინაპარი ყოფილა. ფაშისტი „მეცნიერები“, პოლიტიკოსები და დიპლომატები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ამ თეორიის წინააღმდეგ, თუმცა ისინი და განსაკუთრებით დიპლომატები შემოაღწიშულ ცხოველს ბევრ რამეში ბაძავენ.

არსებობს კიდევ ერთი მაიმუნი — კრილოვის არაკის გმირი მაიმუნი, რომელსაც თურმე მხედველობის სიმახვილის რეკორდი აუღია: სარკეში ჩაუხედავს და თავის თავი დაუნახავს. იშვიათი ამბავია. სარკის ფაბრიკის მუშაკებო, სცადეთ თუ ბიჭები ხართ. თქვენგან დამზადებულ სარკეში მაიმუნს კი არა, „ეშმაკის მამხლებიც“ რომ დაანთოთ, იმასაც ვერ დაინახავთ.

ვაზი, ანუ ვენახი — კულტურული მცენარე, რომლისგანაც ღვინოს აყენებენ. ხალხური ლექსის მიხედვით თხას შეუჭამია. პარტიის მიერ მევენახეობის განვითარებაზე ყურადღების გამახვილების შემდეგ, ვენახს თხები ვეღარ „მიირთმევენ“, მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფო სარდაფებში კიდევ დარჩნენ თხების ფანთიკურად მონათესავე სახელწოდე-

ბის მანებლები: სარდაფების ვირ-თხები, რომლებიც ბაზარზე წყლიან ღვინოს უშვებენ. როდესაც შენიშვნას აძლევენ, გაიძახიან:

— ცოლისყაძეაა. ღვინოში წყალი არ ჩაგვირევია, კარდანახია. წმინდა ჯიშის კარდანახიაო.

თავისებურად მართლებიც არიან, რადგანაც უფრო ხშირად ღვინოში წყალი კი არ არის ჩარეული, პირიქით, წყალშია ღვინო ჩარეული და ის წყალიც ზოგჯერ თუმცა ღვინის გაყიდვის ადგილის წარმოშობისაა, მაგრამ ხშირად კარდანახია, „წმინდა ჯიშის“ კარდანახია.

საბავშვო სიმღერები — მუსიკის სახელმძღვანელო, რომლითაც „ავსილია“ ჩვენი წიგნის ბაზარი, ამის შედეგია, რომ ჩვენი ბავშვები ხშირად ასეთ სიმღერებს მღერიან:

ვაჟები: დედავ ბატინკა,  
მამავ კალოში,  
„სვიდანის“ მინიშნავენ  
საბურთალოში.

გოგონები: ჩემი ქმარი ციხეშია  
ვაი, ვაი, ვაი...  
ვერ გამოვბ მიღღემშია  
ვაი, ვაი, ვაი.

უკანასკნელ ტაეპის ლუწი (2 და 4) სტრიქონები ზუსტად გამოხატავენ ბავშვთა მუსიკალური აღზრდის ფრონტში არსებულ მდგომარეობას.

# „დავხმართ მხარაღია“



პროგრესული  
გეგმირთა

**მოქმედება მწერალთა კავშირის ლიტ-ფონდში.** მწერალთა დამხმარე კომისიის სხდომა.

**თავმჯდომარე:** — ახლა განვიხილოთ მწერალ სიპიტო პეტელაძის განცხადება, თხოულობს ერთდროულ დახმარებას ათას მანეთს და სესხად კიდევ ათას მანეთს.

**ხმები:** — აკი რამდენიმეჯერ დავეხმარეთ... — აკი რამდენიმეჯერ ვასესხეთ...

**თავმჯდომარე:** — ნება მომეცით გაცნობოთ: პეტელაძეს მიმდინარე წელს ხუთჯერ აქვს მიცემული ერთდროული დახმარება. რამდენჯერმე მიგვიცია სესხად ათას-ათასი მანეთი, სულ რვა თვის განმავლობაში მიუღია თექვსმეტი ათასი მანეთი.

**ხმები:** — ეყოფა, მეტის მიცემა არ შეგვიძლია.

— არ შეიძლება, სხვებს მაგის მეთაფსაც არ ვაძლევთ. დახმარებაზე უარი ეთქვას (პეტელაძე კარებში გამოჩნდება).

**თავმჯდომარე:** — (პეტელაძეს დაინახავს) მღუპავთ! შედით ჩემს მდგომარეობაში... (შემოდის პეტელაძე და მაგიდას მიუჯდება). ამხანაგებო, ახლა განვიხილოთ ამხ. პეტელაძის განცხადება. კარგია რომ თვითონაც აქ არის. ამხ. პეტელაძე თხოულობს ერთდროულ დახმარებას ათას მანეთს და სესხად კიდევ ათას მანეთს, სულ ორი ათას მანეთს.

**პეტელაძე:** — განცხადება გუშინ შემოვიტანე. მას შემდეგ 24 საათია მე კი ამ ხნის განმავლობაში არსიდან ერთი კაპეიკი არ მიმიღია. გეკითხებით: რომელი თქვენგანი გასძლევს 24 საათს უფულოდ. არა, ეს ყოვლად დაუშვებელი ამბავია.

**თავმჯდომარე:** — კომისიის სხდომამ მხოლოდ დღეისათვის იყო მოწვეული.

**პეტელაძე:** — საქმე მაგაშია. რატომ გუშინ არ შეიძლება კომისიის მოწვევა. სწორედ ეს არის მწერლისადმი უფულო დამოკიდებულება. მეტი რომ არ ვთქვათ, თქვენი მოქმედება ბიუროკრატიულია და მეტი არაფერი. ჩემთვის გუშინდელი ორი ათასი მანეთი დღევანდელ ათას მანეთს უდრის.

**თავმჯდომარე:** — ჩვენ მოვისმინეთ ამხ. პეტელაძის საყვედური. ჩემი წინადადება მივიღოთ მხედველობაში და ვეცადოთ მომავალში არ განვიმეოროთ. ახლა კი შევეხოთ სალაროს. ამხანაგი თხოულობს ერთდროულ დახმარებას ათას მანეთს და სესხად—ათას მანეთს. გთხოვთ გამოსთქვათ თქვენი აზრი.

**პეტელაძე:** — რის აზრი, რა აზრი. თქვენ კიდევ ჩემს განცხადებას მსჯელობის საგნად ხდით? მაშ, თუ ასეა მე შემიძლია დემონსტრაციულად მივატოვო თქვენი სხდომა.

**ხმები:** — გთხოვთ, გთხოვთ...

**თავმჯდომარე:** — ძალიან გთხოვთ...

**პეტელაძე:** — რას მთხოვთ. სხდომა მივა-

ტოვო? მასხარადაც მივდებთ, თუ როგორაა თქვენი საქმე?

**ხმები:** — სრულიად არა!

**თავმჯდომარე:** — ბოდიშს ვინდით თუ რამეში შევცდით, გთხოვთ დაბრძანდეთ. ამხანაგებო, როგორ მოვიქცეთ?

**ხმები:** — უნდა მიეცეს! — მწერალია, უნდა დავეხმაროთ.

— ალბათ ფულები ესაჭიროება, თორემ...

**თავმჯდომარე:** — მაშ, ამხანაგებო, თქვენი აზრით, ვინაიდან მწერალს პეტელაძეს ფულები ესაჭიროება, მიეცეს ერთდროული დახმარება ათასი მანეთი და სესხი—ათასი მანეთი.

**ხმა:** — სესხზე უარი ეთქვას და მეორე ათასი მანეთიც დახმარების სახით მიეცეს.

**ხმები:** — მართალია, სწორია!

**პეტელაძე:** — წინააღმდეგი ვარ. მე ვთხოულობ სესხს.

**ხმები:** — მიეცეს უვადო სესხი.

— მიეცეს დაუბრუნებელი სესხი.

**თავმჯდომარე:** — ვუყრი კენჭს: ვინ არის მომხრე მწერალს პეტელაძეს მიეცეს დაუბრუნებელი სესხი, ასწიეთ ხელი (ყველანი ხელს სწევენ). ამხანაგო პეტელაძე, გთხოვთ მიიღოთ სალაროში ორი ათასი მანეთი. (პეტელაძე სალაროსაკენ გადის. თავ-რე ოფლიან სახეს იწმენდს. სხდომა იხურება).

ქიშ-ღი.

## ზოგი ზიგა და კონსვიგუსია

დიად ოქტომბერს ჩვენთვის დღემდე რაც მოუცია, მას აგვირგვინებს სტალინური კონსტიტუცია, ღირსი შედეგი გამარჯვებულ სოციალიზმის, ნათელი, როგორც ელვარება გაზაფხულის მზის!.. მაგრამ მყავს ერთი მეზობელი, სახელად ტიტე, მპოლიტიკაზე გადამკვდარი, სულ მოღირღიტე,

ბუნდამ მოდავე, მოწუწუნე, უკმაყოფილო: სუფს რომ მიართმევ, უნდა სუფი უკართოფილო. ახლა კართოფილს ამოსკლი და ხორცს მისთავაზებ, მაგრამ გგონია მოიმაღლე? უფრო აბრაზებ!

ჯერ სამი ქვეყნის არ მოსწონდა ფედერაცია, სულ გაჰკიოდა: — „საქართველო“, — „ჩვენი ნაცია“!... დღეს კი, პირიქით, ის მისტირის ფედერაციას, იქნევეს მარჯვენას, ზედ აყოლებს თავის ცაციას,

და ასე იცავს, რასაც უწინ ისე სწუნობდა, ისერიდა წიხლებს, გულმოსული დაბაკუნობდა... მაგრამ მე რომ მყავს აწონილი ეგ ჩემი ტიტე, უნდა გამოვტყდე, მოშლილი აქვს მას ენის კლიტე!

არ გაეგება პოლიტიკის არცალა „ინჩი“, ყოველ ახალ აზრს, წინ ისე ხედება ის, როგორც ღინჩი! და როცა ხალხი შრომის ქვეყნის დიდ წარმატებას გულში ხალისით ეგებება და ასხამს ქებას,

ტიტეს გაუდგამს ორივე ფეხი, — ოჩან ჯორივით და იმეორებს აბდა-უბდას! „ორატორივით“: სწუნობს, იწონებს და წუწუნობს ეგ ჩვენი ტიტე, პოლიტიკაზე გადამკვდარი, სულ მოღირღიტე,

მაგრამ არ ოდეს არც მართალი, არცა კეკიანი, მუდამ მოდავე, გაბუტული და იჭვიანი... მაგრამ მოხუცდეს, აბა, ჯერ ის, როგორც წესია, თუ დაიწუნოს სტალინური მცხოვნის პენსია?!..



— დიდ მოგონებას ვწერ იღია ჰავკავა ძის შესახებ. ერთ დროს მასთან ძალიან დაახლოვებული ვიყავი.  
— მეგობრობდი?  
— არა. ერთ დღეს ოპერაში მის სავარძელთან მდგომ სკამზე ვიჯექი.



# დისკუსია ხედვანთა სასახლეში

კ. გამსახურდიას „მთვარის მოგახების“ გარშემო



## კონსტ. ზინინაძე:

ერთხელ მიდიოდა ავტორი ტაიჭით სრულად მხედრულად, არა დარცხვენითა, ტრამვაი ეგვრა ცხენს ოლღას ქუჩაზე და გადმოყირავდა ავტორი ცხენიდან. არ ვამბობ, რომ იყო შემთხვევა ციური ამას აქვს სარჩული ფილოლოგიური. ის ცხენი—ავტორმა ილოცოს—იურვა; მე მომკლა აზრებმა ფილოლოგიურმა. აი, მე ასე ვსჯი და ასე სჯობია მე და კონსტანტინეს გვაქვს ფილოსოფია.

## ქრისტეფორე რაჭველიშვილი:

—კონსტანტინემ დიდი ტილო გადაშალა ასე ბევრი ამ ბოლო დროს ვერ სწერს, მაგრამ ერთი უდიდესი შეცდომა შეიდას ოცდამეთორმეტე გვერდზე. ეს შეცდომა თუმცა ახლა გვამდებლვარებს მაგრამ ალბათ აპატიებს დრონი, მოსენებულ გვერდზე ავტორს მერვე პუკარში გაპარვია „განის“ ნაცვლად, „დონი“.

(გამსახურდია გადაწვდება გვერდით დემნა შენგელაიას და ყურში წასჩურჩულებს ქრისტეფორეს მესახებ):

—ჭაბუკო, ამ ორატორზე უნდა გითხრა: დეთისნიერი კაცი არის სწორედ; რათ უნდოდა, ან უნდებოდა, რომ მის სახეზე ბოლო მარცვლად დაემატა „ფორე“.

## კარლო მელაძე:

ამხანაგებო, რაშია საქმე? თუ კამათისთვის აქ ვიკრიბებთ, ემუხვარებზე მე ვამბობ აქვე, რომ არ არიან ჩვენი ტიპები. აქ გამოვიდა რაჭველიშვილი თითქოს განგეფე და ჩემს ჯინაზე, დინჯი ტახით და ხალხში სიცილით ლაპარაკობდა ტყუილს კიჭინაყე. სურთ კონსტანტინეს ხოტბა შეასხან კრიტიკოსები ცალკე გვაყუფონ, ამხანაგებო, ღას გავს ეს, რას გავს, რაშია საქმე ამხანაგებო?..

## ალ. მახაზვილი:

—მშვენიერი რომანია (სთქვა და სიტყვა ამოწურა)

შენიშვნა: ლ. მეტრეველი კამათში არ გამოსულა.

## 6. მიწიშვილი:

ამ წიგნით ქართული მწერლობა ზენიტზე აღის და იდარებს. არა, თუ არა ვართ მართალი მაშინ სხვა აზრს განვავითარებ.

საბჭოთა ტიპია ნამდვილი ავტორი რომ გვაძლევს არხაყანს, რა ვიცი—იქნება კოწიას არც ქონდა ამგვარი განზრახვა.

ამაზე სხვაც ბევრი გამოვა, ბევრს სრვა აქვს თვალწინის ისარი; ვინც სწორად იმსჯელებს აქნებ, მე ვფიქრობ, მართალი ის არის.

## დემნა შ. ნახელია:

—ჯერ ორ წიგნს ვძლიე, წიგნი მესამე ვერ მოვასწარი უნდა კი გითხრა; რომ მოდებოდა და აქებთ ამ რომანს მგონი ეს ორი არ წაგვიკითხავთ.

ვინ წაიკითხეთ სამივე წიგნი. ამას იმდენი დრო დასჭირდება, რომ ამის შემდეგ ყველა ძველი გადაკვიწყდეთ, გამოვიკრიბებ. მესამე წიგნსაც მე წაგიკითხავ და თუ იქნება კიდევ ოცდაშვიდს.. მაგრამ თქვენებრ არ დამავიწყდება მაინც ილია ქართულ პროზაში.

## სერგო კლდიაშვილი:

(ამან ბევრი ორატორი წაჰკიდა და გადაკიდა) ამბობს:—სიტყვა მოგახსენეთ რეპლიკებში ალაგადან.

## თავმჯდომარე:

რეპლიკებში ნუ იქნება, (სე+გომ უთხრა: ასეთ—კამათს, თავსხალაფი კი დავასხიო).

## ალ. ზვიზვილი: (სიტყვის შუა ნაწილი).

...და ბევრი მწერალი პარიზში იკეთებს პარიკს და რეკლამებს...

დარბაზში ბობოქრობს ხმაური ვიღაცა გაჰყირის; — „რეკლამისტ“

## თავმჯდომარე. (მიხ. ჯავახიშვილი)

—სიტყვას გაფუგრძლებ ორატორს თუ არ დაჩუმიდება დარბაზი. (ისეთი დუმილი დავარდა როგორც გზის ტლაპოში აბაზი).

## ლეო ქიაჩელი:

—ორიგინალურია ამ რომანის სინტაქსი ავტორმა სტილს დასძლია არსად არ აურია ორიგინალურია სიტყვიერი მასალა ჩემის აზრით, რომანი ორიგინალურია. მაგრამ ჩვეულებრივი არის მისი სინტაქსი გიკვირს: ხშირად ავტორმა სტილიც რად აურია. საჭიროებს დადგენას სიტყვიერი მასალაც ეს „მთვარის მოტაცება“ კარგი სათაურია. მგონი ჩემი გამოსვლა არა დასამდურია ჩემის აზრით რომანი, ორიგინალურია.

## რეპლიკები ადგილიდან:

—კაცო მაინც როგორია რომანი და თარაში. (მაგრამ უყვე ქიაჩელი დაჯდა გვეროსის ხალაში)

## დავით დემეტრაძე

—ამ რომანს ავტორის გადახალისების უღალ ბეჭედი ახის: რომანის ხაზი მე მაშინვე ვიხილე: პირველი საქმეა ხაზი. რომანის მხატვრობა კარგია, მაგრამ რა, ტიპებმა ვამხეთქეს ბრაზით. მწერლებო რომანში გაუხსვით ხაზი.

## კ. გამსახურდია:

—მერჩულია შემდეგ მე ვარ პროზაში, ვამტიკებდი და ახლაც ვამტიკებ; ვერ დაგაჯერეთ, ლეორთმა უშველოს წამომეხმარა ახლა ტაბიძე. მე აქ ვაცხადებ: მისი ლექსები ისე კარგია, რომ ვერ ავიწვრთ. აქ მეგობრებმა ჩემმა რაკრაკით ჩემზე დასცალეს ოქროს თასები. თქვა ჯენტლმენური სიტყვა აკაკიმ... კმაყოფილი ვარ... ამ შეფასებით...

ლ ირა.

# ჯიმიტელი ჭურაშვილის მოწოდება

ჰო, რას არ მოიგონებენ ეს რჯულიდან ხელაღებულები! მე ძან კარგა მახსოვდა, რომ ჯიმიტელი სოსია ჭურაშვილი ვიყავი; მაგათ კი აულიათ და სოსია სტახანოველი დაურქმევიათ ჩემთვის: ტახანოველი ხარო. ვიფიქრე, რა ქალაქია ე ტახანოვი, რო უცბად იქაური გამხადეს-მეთქი.

ეს ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარე როა, ი ბრუციანი ბაბრახას ბიჭი. წინად, ნიკოლოზ მეფის დროს, ჭიგოზე ჩამამხრჩვალსა ჰგვანდა შიმშილისაგან. ესლა კი საუღლე მოზვერივით ჩაფსკენილ - ჩამკრივებულა., ჰო და, იმანაც მტაცა ხელი: შენ აქ წამოდიო. შენთან სერიოზული საქმე მაქვსო. ცოტა შეეფიქრდი.

შიშით ველარაფერი ვკითხე. გზაში სულ წამამაგონდა საცა კი რამ შემიცოდნია საბჭოთა ხელისუფლებისთვის. პირველად ის ცოდო მომაგონდა, რომ ამ რვაოდე თვის წინად აღდგომას ვიჭიფე. ნაჭიფარმა ერთ კულაკსა ვცემე იმიტომა, რომა ჩვენს არტელსა ჰლანძღავდა, მაგრამ ეს არაფერი. ამაზე უფრო დიდი ცოდვა მაქვს. ხოდაბუნს რომ ვმკიდით, სანამ ნახევარი არ გავიტანეთ ბოლოში, ამხანაგებს პური არ ვაჭამე, ეს

ცოდვები რო მომაგონდა, ჯერ ძალიან დავლონდი, შემდეგ ვიფიქრე, იქნება მამატიონ-მეთქი. მაგრამ შემდეგ რო მომაგონდა კიდევ ერთი, ყველაზე დიდი ცოდვა, სულ კანკალი ამიტყდა. ცოდვები ჩამიდენია, მაგრამ ის ერთი ცოდვა რო მაქვს, იმას არავის ვეტყვი. იმისთვის, თქმა აღარ უნდა, უეჭველად გამამხარაშევენ. გინდათ გითხრა? არა, არ გეტყვიო. თქვენ რა სანდო ხალხი ხართ, თავები ჰოპოპებოვით ავიშვერით შევით... მაგრამ არა მოდი და ისევ გეტყვიო: ერთხელ გახურებული მუშაობა გეკონდა და იქ ვილაცის ავტომობილი მოვიდა. იქიდან დახატულივით გოგოები გადმოსხდნენ და რო შევხედე ცოტა არ იყოს გულში მამაძალღურმა ფიქრებმა ნიშნული გახდებოდეს-მეთქი. მოვიდნენ და გამაიღვიძეს, ნეტა ერთი ეგ გოგო ჩემი დაბრიგადელი იკითხეს, მეც პასუხი ისე გავეცი, რომ მუშაობა არ ვამიწყვეტია... ჰო და ამ ჩვენმა ქიტამ წამავლო ხელი და წამიყვანა, შენ ტახანოველი ხარო. ვაკვირდი, და ვუთხარი; ტახანოველი კი არა ჯიმიტელი სოსია ჭურაშვილი ვარ-მეთქი. მაგრამ აშკარად ვატყობდი, შარზე იღვა დელიო ხახა და ხარხარებდა ვეშაპივით. თანაც არ მეუბნებოდა

ტახანოვი რომელი ქალაქია და რამდენ ხანს უნდა მატაროს იქამდე. მატარა, მატარა და მიმიყვანა ჩვენი სოფლის საბჭოში. დამიყვანა სწორედ და მიტხრა: „სოსია, შენ ესლა ტახანოველი ხარო“ და იგეთი შამამხედა, მე ვთქვი, ესლავე სულს გამაფრთხობინებს-მეთქი და შემდეგ მიტხრა: — აჰა, აი ეს საშარვლე და სახალათე შენთვის! ეს საკაბე შენი ცოლისათვის, ეს ჩექმე-ბი შენი შვილისათვის, ეს საპალტოვე შენი გასათხოვარი ქალისათვის და ესეც პატიფონი შენი ოჯახისათვის, — დაუკარი ხოლმეო! — ჰეთ, კაცო ქიტაე! რატო იგრე მეუბნები, თვალთ ხილული ვარ, და ყურით მართალი, ყველაფერი მესმის, სწორედ გამაგებინე, თორე სისხლზე მოვედი კაცი. რას მატყუებ? მე ჯიმიტელი ვარ და არა ტახანოველი-მეთქი. მერმე ამიხსნა თუ ვინ არის ალექსი სტახანოვი და რას ქვია სტახანოველი. ძალიან გამეხარდა, — ჰოდა, აი მაგეტომო, მიტხრა იმან: რომ შენც სტახანოვურად მუშაობ და გამრჯე გლენი ხარ, ხელისუფლებამ საჩუქრები გამოგიგზავნა, დაგაჯილდოვაო.

იოსებ მკედლიშვილი.

# პროფაბივს ზუმრობა



ახირებული ვინმეა ჩვენი პროფორგი ირაკლი. ზოგჯერ ისეთ რამეს გამოიგონებს, რაც კაცს სიზმარშიაც არ მოეღანდება.

ერთ დღეს დილაადრიანად დამადგა თავზე. აგიტაცია დამიწყო: კარგი ბიჭი ხარო, პროფაქტივიო. სოფელში მიგვივარ ჩვენი წარმოების ხაზითო, როგორც აქტივური, შენც უნდა წამოხვიდეთო, თანაც დაატანა: თუ ძმა ხარ, წელიწადნახევარია პროფსაწევრო არ გადაგიხდია, შემოიტანე, თორემ მოგცხებენო.

ეს იყო და ეს. არც გვიჩხუბია და არც გვიკამათია. იმავე დღეს უნივერსიტეტში მივადექით და თავისით რომ ჩერდება, ის პატეფონი შევიძინეთ. სხვა რა უნდა წავილოთ, კულტურული საქონელი ეს არისო, მირჩია ირაკლიმ და დავყაბულდი. ფირფიტების არჩევაზე დავა მოგვივიდა: უნივერსიტეტის ფოქსტროტების მეტი არაფერი ჰქონდა. ეს რა წასაღებიაო, დაიწყო ირაკლიმ. სოფელს გლეხებს რაში ეპიტხავენათ ფოქსტროტი და ტანგო, რა უნდა გაუგონ მასო. ბაზარში წავედით და ხარა-ხურებში ძველის-ძველი ფირფიტები ამოვარჩიეთ: „ჯიქი-ჯიქი ვახე-ვახე“, „ბიძა-შვილო, რად ხარ დაღონებული“, „წყალსა მოჰქონდა ნაფოტი“, „გაიღვიძე საყვარელო“, „ბაგრატასი და მულავერსკი გეორქას დუღუკ-სიმღერები“. და სხვ.

მეორე დილას ადრიანად ჩავსხედით ეტლში და სოფლისაკენ შევავლოეთ, ირაკლი ლაპარაკად გადაიქცა: წინათ ჩვენი საშეფო სოფელი იყო ახალეთიო, ამბობდა. ათი წელიწადია იმ სოფელში არ ვყოფილვარ, ვედარც კი მიცნობენო. მერმე ახალი შარი გამოიგონა: დილაა, არაყი თუ არ დავლიეთ, შეგვეცივდებაო. საიდნლაც არაყის პატარა ბოთლი ამოიღო, გახსნა და პროფხაზით რიგინად შეგხურდით.

„კინალამ“ დაითრო ჩვენი ირაკლი და აიტეხა: რა ჯანდაბად გვინდა ეს პატეფონი, თუ არ დავუკარბითო, დაქაქა ჩვენი კულტურული საქონელი და ყურები წაიღო, „ჯიქი-ჯიქი, ვახე-ვახეთი“. თან თავდაც ტაბილად დაღლინებდა, უსტვენდა და ასე ქეიფ-ქეიფით მივდიოდით ახალეთისაკენ.

სამჯერ გაიმეორა თითოეული ნომერი. ჰქოქა პატეფონი, იმდენხანს ჰქოქა, რომ თვიგამჩერებელი საკრავი თავისით გაჩერდა და ვეღარ დავძარბით ადგილიდან. დიდ-

ხანს ეწვალა ჩვენი პროფორგი, ხუთ წუთს, რომ დაქაქეს მოანდომებდა, ერთ წამში უკანვე გადმოტრიალდებოდა ხოლმე საქოქი ხრიალ-ხრიალით. ირაკლის დაღრეჯილობა დაეტყო, დიდხანს იწვალა: ხან ჯოხი გააკვეხა საქოქში, ხან ნაფოტი დაუდო ქვევიდან და ვერაფერი მოუხერხა. პრუჟინა წაუხნდაო, თქვა ბოლოს და თავი მიანება.

სალამოს ჩავედით ახალეთში. ირაკლიმ თავის ნათესავების ბინა იკითხა, მიგვასწავლეს. მივედით. სახლში არ დავვიხედნენ.

დავსხედით ირაკლის ნათესავების სახლის წინ და დავიწყეთ ცდა. რას ვუცდიდით და ვის ვუცდიდით, ჩვენც არ ვიცოდით. სახლში ქოფაკი ძაღლის მეტი არაფერ. იყო და ვინ ჰიგვიღებდა. უკან ქალაქში ჩამოსვლა უდროო იყო, სულ აღარ გავგახსენდა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მისვლა.

და ყველაფერს იღბალი უნდა; მოვიდა ჩვენთან ვილაც მოხუცი კოლმეურნე და კინალამ ატირდა: თავი კი მომიკვდეს თქვენ რომ ამალამ გარეთ დავტოვოთო. აქო ქალაქი კი არ არისო, სოფელიაო, კოლექტივიაო, ყველას ოჯახი ერთიაო, ყველას ნათესავები ხართო.

კინალამ გული აგვიჩუყა ამ სიტყვებში. წაყვევით. პური გეშობათო, გიგოლამ გვითხრა (ასე ერქვა ამ მოხუც კოლმეურნეს), ქათამი დაიჭირა, დაკლა და სახელდახელოდ საუხმე გააწყო. ხელადით მაჭარი ამოიტანა მარნიდან. გაკეთდა ჩვენი საქმე.

— პატეფონი კი მოგვეშალა, მაგრამ ფირფიტები კარგი მოგიტახეთ!—წამოიყრანტალა გაძლომის შემდეგ ირაკლიმ.

— რა და რა გაქვთ?—იკითხა მასპინძელმა, ჩამოვუთვალეთ სახელები.

— მაგნაირი რამ არც გამოიგონია!—თქვა მოხუცმა.—ჩვენცა გვაქვს ბევრი კარგი ფირფიტა, ეგენი კი არა. ჩემი დედაკაცი მოვა და იმან იცის მაგების ყველაფერი. „ოტელოს“ სდგამენ ჩვენს კლუბში, თინა მასწავლებელი აედვ ვახსა და ჩემს დედაკაცს სოხოვეს დეზდემონა ეთამაშნა, მოხუცია, მაგრამ უარი მინც ვერ უთხრა. ჩვენს სახლში მთელ დღეს ვერავის ნახეთ. აი ახლაც ჩემი ვაჟი კრებაზე წასული. რძალი კიდევ, წერაკითხვის ღირემკოდნებს ასწავლის. ცოლმა დეზდემონობა დაიწყო და ლამის არის ოტელოდ გადავიქცე!—შემოგვივლა მან.

ლამის ათ საათზე დაბრუნდნენ გიგოლას შინაურები. ძალიან გაუხარდა ჩვენი სტუმრობა. გიგოლას უსაყვედარეს: რას მოგიწყენია, პატეფონი ვერ დაუკარბო? სტუმრები ვერ გაამხიარულეთ? გიგოლას ცოლი პირდაპირ პატეფონს ეცა. ჩემსას ვერ სჯობიანო, თქვა, კარგი ფირფიტები თუ გაქვთ, წაგარშმევთო, —„დაგვეტყრა“ იგი.

— ძალიან კარგებია, —დაიტრახა ირაკლიმ.—სულ ისეთი რამეებია, თქვენ რომ მოგეწონებათ. პატეფონი კი გზაში მოგვეშალა.

— არაფერია, —დაგვაიმედა გრიგოლას ცოლმა, —ჩემ პატეფონზე დავუკრათ. შოპენის გაქვთ რამე?—იკითხა მან.

— შოფერის არაფერი წამოგვიღია, —მიუგო ირაკლიმ.

მასპინძლებს კინალამ გაეცინათ ირაკლის ასეთ „ხუმრობაზე“.

— ძალიან კარგი ფირფიტები მქონდა, გიგოლას შემოემტვრა ხელში. მთვრალი მოსუ-

ლიყო ერთ საღამოს, —ამბობდა გიგოლას ცოლი, —დამჯდარიყო ფირფიტებზე, სულ დაემტვრია, ერთი ცალი კი „ახ, ლუიზე“ რომ არის, კბილებით დაეკვინტა სულა. ქადა გოცებოდა მთვრალსა და ჰამა დაეწყო. იმას შემდეგ სულ „ახ, ლუიზას“ მღერის ჩვენი გიგოლა, ისეთი ხმა მიეცა, გეგონება ჩვენი კოლექტივის ფერმაში რაც ქათმებია, იმათი დადებული კვერცხები სულ მაგას ჩაეყლაპოს. —დაამთავრა ხუმრობით დიასახლისმა.

გიგოლას ცოლმა „რიორიტა“ ამოარჩია თავის ფირფიტებიდან და დაუკრა. თან განავრძო:

— ერთ რამედ ღირდა ის ფირფიტები, გიგოლამ რომ დაამტვრია, ბიხეს „კარმენის“ უვერტიურა დაუკრა მას მიაყილა ორი იტალიური „ნოქტიურნი“, ერთი ნაწყვეტი იყო რომელიღაც სონეტიდან, ჩინური სერენადა და რა ვიცი კიდევ რამდენი კარგი რამ.

მერმე ჩვენი ფირფიტები დაათვალიერა და დაგვიწუნა:

— ეს რეებია, მე-19 საუკუნეში ხომ არა ვართ!

ირაკლის ძალზე ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ რას იტყოდა, გულში კი ჩაიყოლა ბრაზი და ორი საათის შემდგომ, როცა ყველა ფირფიტები დავუკარბით და კარგა რიგინად მოგვედო მაჭარი, ირაკლიმ ჩხუბი აუტეხა გიგოლას ცოლს: შენ ღირექტორი გფარველობს, უყვიროდა, წარმოებაში გასაჩერებელი არა ხარო. ექვსი თვეა პროფსაწევრო არ გადაგიხდიაო.


როგორც იყო დავაშოშმინეთ და დავიძინეთ.

მეორე დილას, ეტლზე დავაწყეთ ჩვენი „თვითგაჩერებელი“ პატეფონი, ფირფიტები, რომლებსაც „სოფელელებმა“ ვერაფერი გაუგეს, ჩვენც დავსხედით და ბოდიშ-უკაცრადით გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს.


ირაკლი არ ისვენებდა.

— ეშმაკმა დასწყევლოს, ყველაფერი თავად ჰქონიათ ამ სოფელელებს, რა უნდა წამოიღოს კაცმა, რომ წამოვა? როიალი რომ ძვირი არ ღირდეს, კიდევ შეიძლება... ასე დამთავრდა ჩვენი პროფაბივს ზუმრობა.

გ. ივანიშვილი.



— ამ საათებმა ქუჩებში, ჩვენი დავთარი არია:



...გამოღმა თერთმეტს უჩვენებს, ვალმა ცხრის ნახევარია.



**გეგ. ფაუისტი:** — შენზე ამბობენ, რომ ხუთი პურიდან ხუთი ათასი კაცი გააძლრო!

**ქრისტე:** — ტყუილია, ბატონო, ეს როგორ შეიძლება? მაგ ამბავი ჰორორიანა მახარობლებმა შეთხვეს. — ეს მე არ ვიცი! აი, ხუთი პური და გააძლე ხუთი ათასი კაცი, თორემ დედას გიტყვებ, კონცლაბერი შემთვის მხალ არის!

### ამხანაგო ნიანგო!

**მხ. ნიანგო!**  
ჩვენს კოლმეურნეობაში (საგარეჯო) ამ წინად დაღეს ერთი კაჭერი, გაიტაცეს ბაზარზე და არ გაიყიდა. უკან მოიკანება საწყობში, კოლმეურნეებმა მოვიტოვეთ: „ჩვენ გავინაწილეთ“. უარით ამოკვისტუმრეს: უნდა გავყიდოთ, გვიხარება. ერთ კვირას კიდევ ჰქონდათ ბაზარზე გატანილი, არ გაიყიდა, კიდევ ოვთხრევეთ კოლმეურნეებმა: ჩვენ გავინაწილეთ, ახლა ასეთი პასუხი მივიღეთ. ყოველმხრივ ხორცს როგორ ვაჭყვავთ, ვე ვები ხართ, ძვირად გვიღირხართ. იღეს კაჭერის აყროლებული ხორცი და ადაყარეს.

ამხ. ნიანგო, ამხე ხომ არ არის ნათქვამი ანდაზა: ავი ძალი არც თვითონ ჭამს და არც სხვას აქმევსო?

**კოლმეურნე.**

**მხ. ნიანგო!**  
დანდალოს სოფსაბჭომ ქედის რაიონი, ამა წლის რვა მარტს დააჯილდოვა რამოდენიმე ქალი, ყველას გაეხა-

და ეს დჯილდოება, მაგრამ სოფს-ბჭოში თურმე გულმეურნეო ხალხია არჩეული და სულ არ გახ ენებით დჯილდოების დარიგება. ანას წინად დაჯილდოებულებმა დჯილდოები მოითხოვეს და ასეთი პასუხი მიიღეს: რა დროს რვა მარტია, ჯერ ოქტომბერიც არ გასულაო. უჩივ რამე, ამხ. ნიანგო, დაჯილდოე ულებს, მომავალ რვა მარტამდე დჯილდოებს არ აძლევენ. მომავალ რვა მარტს კი სოფსაბჭოს ეს თა მჯილდოებ არა იქნება და ვიღას მოსთხოვონ დჯილდო!

**„დაჯილდოებულო“**

**ამხ ნიანგო!**  
ტფილისის რკინიგზის მეტუთე სრულ საშუალო სკოლის განცხადებათა დაფაზე გამოკრულია შემდეგი სახის განცხადება: „აქ ჩამოთვლილი მოწაფეები უნდა გამომცხადდეს სკოლის დირექტორთან“, შემდეგ ჩამოთვლილია 25 მოწაფის გვარი, რომელთა შორის სწერია:

1. ჟგენთი
2. გამბაშიძე

3 ტაბუჯაშვილ და სხვა.  
განცხადებას ეღს აწერს სკოლის საქმის მწარმოებელი.

ამხანაგო ნიანგო, გთხოვთ გვიპასუხოთ ასეთ ენის მცოდნე საქმის მწარმოებელმა, როგორ უნდა აწარმოოს საბჭოთა სკოლის საქმიანობა?

**ეკალი.**

**ამხ ნიანგო!**  
ტფილისის განათლების მუშაკთა სახლს აქვს კინო-თეატრის მაგვარი რაღაც დარბაზი. და აი ამ დარბაზში როგორ უჩვენენ ენ კინო-ფილმებს: ა. წლის ნოემბრის რვას ამ დარბაზში უჩვენებდნენ კინო-ფილმს „ჯავნოსან პოტიომკინს“ სამ საათში სამი სენსი ჩატარდა. ჩაბნელებულ ეკრანზე რაღაც ლანდები დახტოდნ და სურათის დასასრულს კინო მექანიკოსი აცხადებდა „გათავდაო“. პირადათ მე სამივე სენს დავესწარი და სურათს, „კარგად“ ჩვენების გამო, თავი და ბოლო ვერ გავუშე. ერთთა საინტერესო ამხ. ნიანგო, აქვს ოუ არა ოაი ან ბოლო

კლუბის გამგეობას, როცა მაყურებელს ასე უთავბოლოდ დასციინს?!

**მაყურებელი.**

**ამხ. ნიანგო!**  
მე ვარ ტფილისის სახელ. უნივერსიტეტის სტუდენტი. განვიზრახე გადავიდე ან ჩავეწერო ამ კავკასიის საგზაო ინსტიტუტის ერთერთ განყოფილებაზე, მაგრამ წინ მეღობება ერთი სიძნელე, რომლის გადალახვა შენი ჩანგლის დაუხმარებლად შეუძლებელი იქნება, საქმე იმაშია, რომ მე არა ვარ მშვიდობის ანგელოზი, რომ ფრთები მქონდეს და ფრენა მოკახერხო (თუმცა ფრენას ვერც ის ახერხებს. ომის გამძალებლებს ყავო დაბორკილი). მე ერთი უფრო სტანდარტული ბუნების ადამიანი ვარ „ზიპსში“ შესვლა კი ჩვეულებრივი მოქალაქისათვის უნებართვოდ, შეუძლებელია. შესვლის ნებართვას კი ინსტიტუტის ბიუროკრატები არ იძლევიან.

როგორ მოვიქცე? დაუხმარე ამხ. ნიანგო!

**სტუდენტი**

გერმანია-იტალიის შეთანხმების პროექტი  
იტალიის მიერ გერმანიის  
ტექნიკის გამოყენებას აბისინიის ათვისების  
საქმეში.

ნახ. გ. ისაევის.

აბისინიის ათვისება გერმანული  
ტექნიკის საშუალებით.



გ. ისაევი



ფოტოგრაფი ასწორებდა თავის შვიდი შვილით. დედას, რომელმაც პირველად მხოლოდ ახლა მოინდომა გადაეღო სურათი სამასსოვროდ. რადგან იგი ელოდებოდა დახმარების მიღებას. ბავშვების მამა, როგორც შორსმცურავი გემის კაპიტანი გრძელვადიან მივლინებაში იმყოფებოდა. ფოტოგრაფმა გაასწორა ბავშვები ხელი გადაუსვა ყველაზე უმცროსს და დედას შენატრა:

— რა ბედნიერი ხართ... თქვენ ათასებს მიიღებთ კონვერტით.

— ათასებიან კონვერტებზე არ მიფიქრია მაშინ, როდესაც ამ ბავშვებს ვბადებდი. ახლა, რაღა თქმა უნდა, ყველა შენატრის.

— დიას! ახლა თქვენ ბედნიერი ხართ...

— რა ბედნიერებაა? იყოლიეთ თქვენც შვიდი შვილი და თქვენც მიიღებთ ათასებიან კონვერტს.

ფოტოგრაფმა ხელი მძიმედ ჩაიქნია და მწუხარებით წარმოსთქვა:

— მყავს სწორედ შვიდი შვილი, მაგრამ არაერთი კონვერტები... მხოლოდ უსიამოვნება მხვდება ხოლმე.

— როგორ შეიძლება?!

— შეიძლება და შეიძლება ძალიან კარგადაც: მყავს შვიდი შვილი, მაგრამ დაფანტულად. ჩემთან ოთხია, პირველ კოლოთან კი ხამი. ყოველ თვიურად მე მათთან კონვერ-

ერთხელ, რაღაც უბედურად, (ამოვარდა იმ დღის კვალი), მატარებელს ველოდები, ხაშურიდან მიმავალი.

— აი, კიდევ ჩამოვიდა...

მისცეს ხარი წასასვლელი,

ერთმანეთში აირია,

აქ მოსული და წამსვლელი.

შუა ადგილს გავეჭედე.

კერც ფეხს ვანძრევ, ველარცხელსა,

ისმის ხალხში: „წადით ჩქარა“...

აგერ კიდევ ამოკვნი! ა.

— ჭივ, იმედევ, სეთ მყავხარ?

— ოი, გაწყდეს შენი რჯული!

ტით მიმაქვს ფული. თქვენ კი მეუბნებით, როგორ შეიძლებაო?...

— გოგონავ! თავი აქეთ მოაბრუნე, აი ახლა ჩიტი გამოფრინდება...—და სევდიანმა აპარატის რეზინის ბურთულს ხელი მოუჭირა.

ტობოლიაკოვი.

„კროკოდლიდან“

— ფეხი გასწი, ოპ, მაზტ...  
— ვაი თავო, ჩემო ფულო.  
— ვაი მომკლეს, დედაჩემო, მომეშველე მიმდის გული.

ერთ ვაგონთან მივალწი (ისიც ხალხმა მიმიტანა)

მაგრამ მისვლა რას მიხარის?

ქუდს ვიღაცა წაეტანა.

იმ ქუდს ახლა ველარ გავდექუნდა შიგნით შევეყო თავი.

კიდევ აველ, მაგრამ გეტყვი, როგორც ვიყავ სანახავი:

ფეხზე მეცვა „ცარსკი“ ჩექმა,

ახლად მქონდა შენაკერი,

დავხედე და, ვაი თავო,

გავარდნია თურმე ფსკერი.

ჩემს თავს თითონ ველარა ვცნობ,

ამ ძონძებში გახვეული,

ჩხუბში ნამყოფს ჩამოვგავარ,

ნაცემი და დამსხვრეული.

მოკაზმული მოვედი და

შინ მივდივარ დახეული.

გთხოვ, ხაშურის მილიციავ,

მომიხახოთ შიშის ფსკერი.

ჩემი ქული და ქამარი

წელსა ზედა მოსატყერი.

ბან-იან-სანი

ჩვენს ქუჩებში

ნახ. მარიაშის




დღემდე საშენ მასალად ცნობილი იყო სე-ტყე, ქვა, რკინა და სხვა ასეთი ხივთი-რეზინი. მაგრამ დიდი და ხანგრძლივი გამოცდილება—ცდების შემდეგ ზემო-სვანეთის (ხაში) ხე-ტყის დამამუშავებელ ქარხნის მუშათა სასაბჭოს გამგე ექვთიმე ლაგილავამ გამოიგონა ახალი საშენი მასალა, რომლითაც მან პირველმა აიშენა თავისთვის სახლი. (იხ აქვე მოთავსებული ნახატი).

ეს საშენი მასალეობა: კატლეტი, ძვალა, მოხარშულ-შემწვარი ვარიები და მწვადები ხოლო კუროტელეულობიდან—თეფშები, რომელიც იხმარება სახურავ მასალად.

**კატლეტი**, რომელშიაც ხორცის უმნიშვნელო ნაწილია და უმთავრესაც შესდგება მხოლოდ ძველი პურის ნატეხების ცომისაგან, იხმარება აგურის მაგიერ. ამისი უპირატესობა ის არის, რომ თითონ მას (ე. ი. ექვთიმეს) ძალიან იაფად უჯდება, ხოლო მუშებზე იყიდება მაღალ ფასებში.

**ძვალი** იხმარება სვეტებისა და ხის მასალის მაგიერ. ეს ძვირფასი მასალა ძალიან იაფი უჯდება ექვთიმეს. ძვლებს ხარშავს და წვეს მუშებზე ასალებს, როგორც სუფს.

**მწვადი** და შემწვარი-მოხარშული ვარიები შიგადაშიგ ეფინება კატლეტების აგურს, რომ კედლებს მეტი სიმკვრე ჰქონდეს. უნდა ითქვას, რომ ექვთიმეს არც შემწვარი-მოხარ-



შული ვარიები და მწვარი უჯდება ძვირად, რადგან მათ მხოლოდ აღმინისტრაციას აწვდის.

ამ იშვიათ გამოგონებელ მფარველობას უწევს მთელი აღმინისტრაცია, და გახსაკუთრებით მამონტი გაბისონია.

## გორი

**უღლურს (სტალინირი)**. თქვენი ლექსის შინაარსი სწორია. მიუხედავად ამისა ლექსს მაინც ვერ ვბეჭდავთ, რადგან სუსტია.

თქვენი ფსევდონომიც მიუღებელია. უღლური არ არის, რომ მისი ლექსი ვარგოდეს. ერთ ადგილს მაინც მოვიყვანთ თქვენი ლექსიდან.

რას ხედავს კაცი,  
რა ამბავია,  
სასტუმროს მგონი  
არა აქვს თავია.  
საწოლს მოგცემენ  
ბინძურს, წვირიანს,  
ზეწარს ერთხელაც  
არ გამოცვლიან...  
სასტუმრო რომ აქ  
აშენდეს მალე,  
ნიანგო, აქეთ  
შემოიარე.

**ს-ს** (გორისა, ჭიათურის რ.) თქვენი წერილით ვტყობილობთ რომ სოფ. გორისის საბჭოში შეპარულა ყოფილი მღვდელი, რომელიც თურმე საცეცხურის ნაცვლად სავადასახადო ბლანკებს იქნევს და იძახის: ვინც არ მაპურმანილებთ, ერთიორად დაიბეგრებითო. ეს „ვაჟბატონი“.

**ღვინძე** გახლავს ნესტორი,  
გაქნილი, ნახუცარია,  
ახლა თავს ბატკნად გვაჩვენებს,  
უწინ ეკიდა ჯვარია.  
სოფლის საბჭოში შემძვრალა  
მან სოფლის საქმე არია,  
მოსცხე ჩანგალი ნიანგო,  
დღე გაუთენე მწარეა,

თუ ზემოთ თქმული მართალია, ჩანგალს არ დავიშურებთ, მაგრამ მართო ნესტორი

საჩანგლედ არ იკმარებს: ვინ არიან მისი მფარველები?

**ზონანს (ხეთა)**. სიმართლე უნდა გითხრა, რომ თქვენი ლექსი ისეთივე მოუხეშავია, როგორც თქვენი ტყის უბნის გამგე გოგია ალექსანდრე:

ძველი გენერლის ქცევა აქვს,  
როცა ზის კაბინეტშია,  
ვეფხვსა ჰგვს ია...  
ვერვინ გაუფლის ახლოსა.

თუ კი მისი ყვირილი, როგორც თქვენ გვწერთ, ტყეში ნადირებს აფრთხობს, რატომ

მუშკომი იქვე იძინებს,  
განაგრძობს ტკბილად ხვრენასა.  
ცხრა თვის ხელფასი არა ჩანს,  
ვერ იღებს მაინც ენასა.

თქვენც კარგად იცით, რომ ეს ტაეები თქვენ არ გეკუთვნის, ხოლო ეს კი თქვენი:

ნიანგო, აქ თუ ჩამოხვალ,  
დანარჩენს შენით მიხვდები,  
მოდით, მოგვლით სულ მალე  
ახლა ნახვამდის, მშვიდობით.

მშვიდობით. კარგად იყავით და თავი დაანებეთ ასეთი ლექსების წერას. ჯერ ისწავლეთ მართლწერა (ეს სავალდებულოა უმაღლესი განათლების მქონე კაცისათვის) და აზრის გამოთქმა წერილობით.

**ქო-ლს** (საჯავახო) გვწერთ, რომ:  
ღამების გაკეთება  
უნდა რიონის ნაპირებს  
და საბჭოს თავმჯდომარე  
ამას სიზმარში აპირებს.

მოდი დაუფრთხე ძილი,  
ძილი ეგზომად ტკბილი,  
არ შეიბრალო იგი,  
მაგრად გაჰკარი კბილი.

თუ კი ძილი დაუფრთხეთ, მაშინ ვერც სიზმარშიაც გააკეთებს. ვაცალოთ ახალი საბჭოს არჩევნებამდე.

**ცხრაკბილას (სილნაი)**. მივიღეთ თქვენი ვეებერთელა პოემა, რომელიც ეხება საავადმყოფოს ექიმ ქალებს:

ოლა და ქეთო შეიბნენ,  
ხელები სტაცეს თმაშია.  
მათი ყვირილი, გინება  
ისმოდა გომბრის მთაშია.  
ასეთი აურ-ზაური  
მრავალჯერ გაიმეორეს.  
ბულალტერ იოსებასა  
ართმევენ ერთიმეორეს.  
ეს გაიძვრა იოსებ  
ორთავეს სიყვარულობდა,  
დღეს თუ რჩებოდა ერთთანა,  
მეორეს ხვალ ნახულობდა.

ამის შემდეგ არც გასაკვირია, თუ სილნაის საავადმყოფოში ყველაფერი ვერ იყო რიგზე და იოსების ბულალტერიაც არეული იყო როგორც მისი ფიქრები.

თქვენც, როგორც ერთერთი ხელმძღვანელი, საყვედურის ღირსი ხართ. ასეთი გრძელი „პოემების“ წერას (და ისიც ასეთ საკითხზე) სჯობდა მეტი ყურადღება საავადმყოფოსთვის მიგეჭკიათ. არც ის გამოგადგებათ თავის გასამართლებლად—თუ ამ რომანის ლოგიკურ დასკვნას უცადეთ თქვენი „პოემის“ ინტრიგისათვის.

საბჭოთაო იდეებს ზანსწილყოილ



ჩ. ვადაძე



ს. ვადაძე